



**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი**



MES 0 21 0000753935

29/07/2021

**შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>2</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56<sup>3</sup> მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 103-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (ს/კ: 206155328) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1600-ით.
2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 29 ივლისს.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივლისის №758360 სხდომის ოქმის № 02 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს შესახებ ცნობილ იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ორჯონიკიძე ზურაბ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს წევრი  
ეკალაძე ეკა



**დანართი 1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი**

#	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და	პროგრამის განხორციელების ადგილი
1.	საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (პილოტი)	ქართული	საჰაერო ხომალდის მართვის ბაკალავრი (1041)	240	აკრედიტებული	19/10/2020 #1006833	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი #16 /თელავი, აეროპორტი "მიმინო"
2.	Flight Exploitation of Aircraft (Pilot) საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (პილოტი)	ინგლისური	საჰაერო ხომალდის მართვის ბაკალავრი (1041)	240	ავტორიზებული	08/05/2015 #9	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი #16 /თელავი, აეროპორტი "მიმინო"
3.	საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია	ქართული	საავიაციო ინჟინერიის ბაკალავრი (0716)	240	აკრედიტებული	26/10/2020 #1037786	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი #16/ თბილისი საერთაშორისო აეროპორტი
4.	Aircraft Technical Exploitation საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია	ინგლისური	საავიაციო ინჟინერიის ბაკალავრი (0716)	240	ავტორიზებული	08/05/2015 #9	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი #16/ თბილისი საერთაშორისო აეროპორტი
5.	საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია	ქართული	ინჟინერიის მაგისტრი საჰაერო ხომალდების ტექნიკურ ექსპლუატაციაში (0716)	120	აკრედიტებული	26/10/2020 #1037986	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი #16
6.	Aircraft Technical Exploitation საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია	ინგლისური	ინჟინერიის მაგისტრი საჰაერო ხომალდების ტექნიკურ ექსპლუატაციაში (0716)	120	ახალი პროგრამა	-	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი #16/ თბილისი საერთაშორისო აეროპორტი
7.	საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები	ქართული	საავიაციო ინჟინერიის დოქტორი (0716)	60	აკრედიტებული	26/10/2020 #1038166	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი #16
8.	საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია	ქართული	საავიაციო ინჟინერიის ბაკალავრი (0716)	240	აკრედიტებული	06/11/2020 #1076353	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი #16
9.	ინფორმაციული სისტემები ავიაციაში	ქართული	ინფორმაციული სისტემების ბაკალავრი (0613)	240	აკრედიტებული	07/09/2020 #791401	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი #16
10.	საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება	ქართული	ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მექანიკის ინჟინერიაში და ტექნოლოგიაში (0408)	240	აკრედიტებული	24/06/2016 #19	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი #16
11.	საჰაერო სტრანსპორტის მენეჯმენტი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში (0413)	240	აკრედიტებული	31/07/2020 #652935	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი #16
12.	Air Transport Management	ინგლისური	ბიზნესის	240	ახალი პროგრამა	-	თბილისი,

	საჰაერო სტრანსპორტის მენეჯმენტი		ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში (0413)				ქეთევან დედოფლის გამზირი #16
13.	საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტში (0413)	120	აკრედიტებული	31/07/2020 #652937	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი #16
14.	ფინანსები	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში (0412)	240	აკრედიტებული	04/08/2020 #663294	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი #16
15.	ავიაციის ფინანსები	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში (0412)	120	აკრედიტებული	04/08/2020 #663295	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი #16